ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №28

ქ. ქუთაისი 17 ივლისი 2023 წელი

ერთის მხრივ, **ააიპ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა,** მისი სახით დირექტორი გრიგოლ ქობალიანი, მისამართი ქ. ქუთაისი ლ. ნუცუბიძის №1. ს/კ 212899443, სახაზინო კოდი (ანგ.№): 7 4288 3459 (შემდგომში-შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, **ფ.პ ,,ეკა დადიანი"** პ/ნ 58001017410 ს.ს ,,თიბისი ბანკი", ქუთაისის ფილიალი, ანგ. N-GE19TB7348345064300034 (შემდგომში-მიმწოდებელი),

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონ-მდებლობის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1],, ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშე-კრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ააიპ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკისათვის 2023 წლის ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით - საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გამოსაცემი კრებულის "წელიწდეულის" კომპიუტერული უზრუნველყოფის, კორექტურის და რედაქტირების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: კრებული "წელიწდეულის" კომპიუტერული უზრუნველყოფა ,კორექტურა და რედაქტირება. (CPV) კოდი - 79550000- ღირებულებით -1050 ლარი.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **1050** (ათასორმოცდაათ) ლარს, საქართველოში დადგენილი ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით, დღგ-ის გარეშე.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.ქუთასის ლ. ნუცუბიძის №1.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზ-რუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის .

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი(ვადები) და ადგილი.

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 საბანკო დღის ვადაში.
7.4. ანაზღაურების ადგილია: ქალაქი ქუთაისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: -შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია: -მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; -უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: -მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია: - მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით; - დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.
9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.
11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პერობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი.

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს: ააიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში რიტა წაქაძე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები.

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თვისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენეზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ააიპ ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა	ფ.პ ეკა დადიანი
მის: ქ. ქუთაისი, ლ. ნუცუბიძის №1	მის: ქ.ქუთაისი დ. აღმაშენებლის ქN14/14
ტელეფონი: 0(431) 24 56 80	პ/ნ 58001017410
საიდ. კოდი : 212899443	”თიბისი ბანკი ქუთ. ფილ.
სახაზინო კოდი (ანგ.№): 7 4288 3459	ა/ა № GE19TB7348345064300034
Grigol Kobaliani Подписано цифровой подписью: Grigol Kobaliani DN: cn=Grigol Kobaliani, serialNumber=PNOGE-60001012687, givenName=Grigol, sn=Kobaliani, o=Citizen, c=GE Дата: 2023.07.17 12:41:58 +04'00'	Eka Dadiani 58001017410 Digitally signed by Eka Dadiani Date: 2023.07.17 18:47:40

ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ
ფორმა № 3

მიმწოდებლის დასახელება: ფ/პ ეკა დადიანი

№	საქონლის აღწერილობა	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გამოსაცემ კრებულ ”წელიწდეულის”კომპიუტერული უზრუნველყოფა, კორექტურა და რედაქტირება				1050		
	სულ				**1050**		

მიმწოდებლის ხელმოწერა